სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

ქ. თბილისი 5 აპრილი 2023 წელი

სსიპ – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 8 თებერვლის N 143550 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის

ოქმი N1

სხდომას ესწრებოდნენ:

დავით ხვედელიძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარე, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ფუნქციების დროებით შემსრულებელი;

ია ძებისაური – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის უფროსი;

ირაკლი რობაქიძე – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის ლოჯისტიკის ჯგუფის უფროსი;

როსტომ თოლორდავა - სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის მთავარი ბუღალტერი;

ირინე სადრაძე - სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების სპეციალისტი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ნიკო გიგოლაშვილი – სატენდერო კომისიის წევრი, სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ეკონომიკური რესურსების სამსახურის შესყიდვების ჯგუფის უფროსი;

დღის წესრიგი:

1. სატენდერო დოკუმენტაციის განხილვა და დამტკიცება;

2. ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT) ჩატარების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცება.

განიხილეს:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს წარუდგინა სატენდერო კომისიის აპარატის მიერ მომზადებული სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და UNICEF

-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში პროექტში მონაწილე 18 ბავშვებისთვის ქ. გორში საკვების ადგილზე მიწოდების მომსახურება (CPV 55500000 - სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურება, CPV 55521200 - საკვების მიწოდების მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვის სატენდერო დოკუმენტაცია.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაში მოძიებულ იქნა კომპანიები, ვისაც შესაძლოა ინტერესი გამოეხატა აღნიშნულ შესყიდვასთან დაკავშირებით. მეილი გავუგზავნეთ კვლევაში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისი წერილი და დოკუმენტაცია 2 (ორი) სხვადასხვა კომპანიას.

საბოლოოდ ბაზრის კვლევისას დაინტერესება გამოხატა ორმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, რომელმაც წარმოადგინა შემდეგი ფასი:

I პრეტენდენტი: 9792.00 (ცხრაათასშვიდასოთხმოცდათორმეტი) ლარი დღგ-ს გარეშე.

II პრეტენდენტი: 9792.00 (ცხრაათასშვიდასოთხმოცდათორმეტი) ლარი დღგ-ს გარეშე.

ვინაიდან საგრანტო ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული კვებითი მომსახურეობის ღირებულება შეადგენს 6217.92 (ექვსიათასორასჩვიდმეტი ლარი და 92 თეთრი) ლარს დღგ-ს გარეშე, შესაბამისად სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ტენდერის სავარაუდო ღირებულებად განისაზღვროს 6200.00 (ექვსიათასორასი) ლარი დღგ-ს გარეშე;

კომისიის წევრებმა იმსჯელეს სატენდერო დოკუმენტაციითა და განცხადებით განსაზღვრული პირობების ირგვლივ.

აზრი გამოთქვეს:

სატენდერო კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ წარმოდგენილი სახით სატენდერო განცხადება და დოკუმენტაცია მისაღებია.

დაადგინეს:

1. დამტკიცდეს წარმოდგენილი სატენდერო დოკუმენტაცია და განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ.
2. დაევალოს სატენდერო კომისიის აპარატს ორი სამუშაო დღის ვადაში სატენდერო განცხადების და დოკუმენტაციის განთავსების უზრუნველყოფა www.procurement.gov.ge-ზე.

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: დავით ხვედელიძე -

სატენდერო კომისიის წევრები: ია ძებისაური -

ირაკლი რობაქიძე -

როსტომ თოლორდავა -

სატენდერო კომისიის აპარატის წევრი: ირინე სადრაძე -